გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 126

2023 წლის 14 ივლისი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2021 წლის 19 აგვისტოს გაფორმებული №13 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 იანვრის №2 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 იანვრის №3 განკარგულების საფუძველზე, აუქციონის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2021 წლის 19 აგვისტოს გაფორმდა №13 პრივატიზაციის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 003, ნაკვეთი 024, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 24768 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.024) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია შპს „აგრო მოლი“-ს (ს.ნ 418476125) განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ზემოაღნიშნული ვალდებულების განხორციელების მიზნით, მის მიერ შეთანხმებულ იქნა სამაცივრე შენობა-ნაგებობის ასაშენებლად, თუმცა, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის (კოვიდ 19) გამო შეფერხდა მშენებლობა. კომპანია შპს „აგრო მოლი“ (ს.ნ 418476125) აცხადებს, რომ ამ ეტაპზე მის მიერ მობილიზებულია სამუშაო ძალა და ფინანსური სახსრები მშენებლობის განხორციელების მიზნით სს „ბანკი ქართუს“ მეშვეობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „აგრო მოლი“ (ს.ნ 418476125) ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ორი წლით, რაც გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2021 წლის 19 აგვისტოს გაფორმებული №13 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 003, ნაკვეთი 024, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 24768 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.024)

განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2021 წლის 19 აგვისტოს გაფორმებული №13 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 003, ნაკვეთი 024, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 24768 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.024) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე